



**NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT**

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური

**სოციალური მეცნიერებები - თანამედროვე საქართველო, საბაკალავრო პროგრამა
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება**

შეფასების თარიღ(ებ)ი
21 იანვარი 2026

დასკვნის წარდგენის თარიღი

2026 წლის 11 მარტი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - საჯარო სამართლის იურიდიული პირი, სსიპ
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204864548
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	დევიდ დუენას- სიდი, კოზმინსკის უნივერსიტეტი, პოლონეთი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ქეთი ცხადაძე, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნათია გეგელაშვილი, აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ილია ბოცვაძე, ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ქართულად)	სოციალური მეცნიერებები: თანამედროვე საქართველო
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება (ინგლისურად)	Social Science: Modern Georgia
უმაღლესი განათლების საფეხური/პროგრამა	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0319 სოციალური და ქცევითი მეცნიერებები, არაკლასიფიცირებული
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ³	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არაკრედიტებული/პირობითად აკრედიტებული/ახლად შემოთავაზებული/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (რიცხვი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე დაშვების დამატებითი მოთხოვნები (სამხატვრო- შემოქმედებითი და/ან სპორტული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, შემოქმედებითი ტურის/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაში დაშვების/პროგრამის განხორციელების სპეციფიკური მოთხოვნები.)	-
დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	-

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

³ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

- ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საბაკალავრო პროგრამა „სოციალური მეცნიერებები: თანამედროვე საქართველო“ ინტერდისციპლინარული პროგრამაა, რომელიც შექმნილია საქართველოს სწრაფი სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ტრანსფორმაციის საკითხებზე რეაგირების მიზნით. ტრადიციული, დისციპლინაზე ორიენტირებული პროგრამებისგან განსხვავებით, იგი უსვამს ხაზს სოციალური მეცნიერებების ინტეგრირებულ მიდგომას, აერთიანებს სოციოლოგიის, ეკონომიკის, პოლიტიკური მეცნიერების, ანთროპოლოგიისა და მონათესავე დარგების პერსპექტივებს, რათა საზოგადოება განიხილოს როგორც ერთიანი სისტემა და უზრუნველყოს მისი ჰოლისტური გააზრება.

პროგრამა მიზნად ისახავს დემოკრატიზაციისა და ევროპული ინტეგრაციის კონტექსტში ვიწრო სპეციალიზაციის ტრადიციული შეზღუდვების დაძლევის, რეგიონულ კვლევებზე, ერთიან კვლევით მეთოდოლოგიებსა და ქართული საზოგადოებისთვის აქტუალურ პრობლემებზე ორიენტირებული ინტერდისციპლინური კვლევისა და სწავლების ხელშეწყობის გზით.

მისი სასწავლო გეგმა მოიცავს სავალდებულო და არჩევით კურსებს, რომლებიც მოიცავს თეორიულ საფუძვლებს, კვლევის მეთოდებს და თანამედროვე საქართველოს მრავალმხრივ ანალიზს. პროგრამა ასევე ითვალისწინებს დამატებითი სპეციალობების არჩევის შესაძლებლობას, ახლად შემუშავებულ კურსებს და სწავლებას როგორც გამოცდილ, ისე ევროპაში განათლებამიღებული აკადემიური პერსონალის მიერ, პროფესორ გია ჟორჟოლიანის ხელმძღვანელობით.

- აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ვიზიტი სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2026 წლის 21 იანვარს ჩატარდა, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დანიშნული ექსპერტთა ჯგუფის მიერ. ვიზიტის მიზანი იყო საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „სოციალური მეცნიერებები: თანამედროვე საქართველო“ შეფასება. აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა გარე შეფასების სტანდარტული პროცედურის შესაბამისად და მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის წინასწარ მომზადებას, პროგრამის დოკუმენტაციის შესწავლასა და ადგილზე გადამოწმებას პირდაპირი დაკვირვებისა და სტრუქტურირებული ინტერვიუების გზით. ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსები, მათ შორის სასწავლო ინფრასტრუქტურა და საბიბლიოთეკო მომსახურება, პროგრამის განხორციელებისთვის მათი ადეკვატურობის შეფასების მიზნით.

შეფასების პროცესის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეხვედრები გამართა მირითად დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან. ამ შეხვედრებმა ექსპერტთა ჯგუფს შესაძლებლობა მისცა შეეფასებინა პროგრამის დიზაინი, განხორციელება, სწავლა-სწავლების პროცესები, სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა და ხარისხის უზრუნველყოფის სისტემები, ასევე დაეზუსტებინა დოკუმენტაციის განხილვის

ეტაპზე გამოვლენილი საკითხები.

ვიზიტი დასრულდა ექსპერტთა ჯგუფის შიდა თათბირით, რის შემდეგაც უნივერსიტეტის წარმომადგენლებს წარედგინათ წინასწარი მიგნებები. აკრედიტაციის ადგილზე ვიზიტის პროცესმა უზრუნველყო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობისა და მისი სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობების ყოვლისმომცველი, გამჭვირვალე და მტკიცებულებებზე დაფუძნებული შეფასება.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

საბაკალავრო პროგრამა ზოგადად კარგად არის სტრუქტურირებული, თანმიმდევრული და შესაბამისობაშია მის მიერ დეკლარირებულ მიზნებსა და სწავლის შედეგებთან. იგი გვთავაზობს სოციალური მეცნიერებების ძირითად დისციპლინათა დაბალანსებულ ერთობლიობას და მკაფიო აქცენტს საქართველოს კონტექსტზე, მკვეთრად ჩამოყალიბებული კურსებით, კონსტრუქციული თანხვედრითა და შეფასებისა და მონიტორინგის სათანადო მექანიზმებით. სასწავლო გეგმა ლოგიკურად ვითარდება, რაც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას განივითარონ დისციპლინური ცოდნა, კვლევითი უნარები, ანალიტიკური აზროვნება და თანამედროვე ქართული საზოგადოების გააზრებისთვის რელევანტური ტრანსფერული კომპეტენციები. სწავლის შედეგები მკაფიოა, გაზომვადი და შეესაბამება საბაკალავრო საფეხურის მოლოდინებს, ხოლო პროგრამის შეფასების პროცესები მოიცავს სისტემურ მონიტორინგს როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით, მათ შორის კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების უკუკავშირის გათვალისწინებით.

ამასთანავე, გამოვლენილია რამდენიმე გასაუმჯობესებელი მხარე, რაც პროგრამის გრძელვადიანი ხარისხისა და მდგრადობის გაძლიერებას შეუწყობს ხელს. ეს მოიცავს ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებას, შრომის ბაზრის მოთხოვნისა და პროგრამის უნიკალური დამატებითი ღირებულების პერიოდულ გადაფასებას, აკადემიური პერსონალის კომპეტენციის ამაღლებას სწავლის შედეგების შეფასების პროცესებთან დაკავშირებული ტრენინგების მეშვეობით, ასევე კურსების შინაარსისა და ლიტერატურის უწყვეტ განახლებას. აკადემიური თვალსაზრისით, პროგრამისთვის სასარგებლო იქნებოდა უფრო ინტეგრაციული და ჰოლისტური მიდგომა ერთიანი ანალიტიკური კურსის დანერგვით; ასევე უმჯობესია მეტი ყურადღება დაეთმოს გაციფრულებას სოციალურ ანალიზში, ხელახლა გადაიხედოს კონკრეტული სავალდებულო კურსები და დაემატოს სავალდებულო ქართული ენისა და სპეციალიზაციის ინგლისური ენის კომპონენტები. საერთო ჯამში, პროგრამა ავლენს ძლიერ საფუძვლებს და აკადემიურ სტანდარტებთან შესაბამისობის მაღალ დონეს, ხოლო მიზნობრივი გაუმჯობესებები კიდევ უფრო გააძლიერებს მის თანმიმდევრულობას, რელევანტურობასა და სამომავლო მდგრადობას.

- რეკომენდაციები

- რეკომენდებულია, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს გაეწიოს მხარდაჭერა და ჩაუტარდეს რეგულარული ტრენინგები სწავლის შედეგების დაგეგმვის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარების მიზნით. (1.3)
- რეკომენდებულია, პროგრამაში დაემატოს კურსი, რომელიც მიეძღვნება გაციფრულების ასპექტებს. თანამედროვე საქართველოს რეალობის სრულყოფილი გააზრება შეუძლებელია იმ გარდაქმნების გათვალისწინების გარეშე, რომლებიც გაციფრულებამ სოციალურ ცხოვრებასა და სოციალურ მეცნიერებებში გამოიწვია. აღნიშნული კურსი არ უნდა იყოს (მხოლოდ) მეთოდოლოგიური ხასიათის, არამედ უნდა მოიცავდეს თეორიულ კომპონენტებსაც, რომლებიც უზრუნველყოფს

საქართველოს ციფრული ტრანსფორმაციისა და მისი გავლენების სიღრმისეულ გააზრებას. (1.4)

- რეკომენდებულია, საქართველოს პარლამენტის მიერ 2025 წლის გაზაფხულის სესიაზე მიღებული გადაწყვეტილებისა და „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული შესაბამისი ცვლილების საფუძველზე, ქართული ენა დაემატოს სავალდებულო სასწავლო კურსების ნუსხას. (1.5)
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსი „დარგობრივი ინგლისური სოციალურ მეცნიერებებში“ გახდეს სავალდებულო ყველა იმ სტუდენტისთვის, ვინც სწავლობს „სოციალური მეცნიერებები: თანამედროვე საქართველოს“ მიმართულებით. აღნიშნული კურსი მნიშვნელოვანია, რადგან უზრუნველყოფს დარგობრივად მორგებული აკადემიური და პროფესიული ინგლისური ენის უნარების განვითარებას ისეთ სფეროებში, როგორცაა სოციოლოგია, პოლიტიკური მეცნიერება, ისტორია და ეკონომიკა. (1.5)
- რეკომენდებულია, რომ ყველა ლექციას თან ახლდეს ვიზუალური მასალა, ვინაიდან ვიზუალიზაცია აუმჯობესებს ინფორმაციის აღქმასა და დამახსოვრებას, ამარტივებს რთული საკითხების ახსნას და ზრდის სტუდენტთა ჩართულობას. (2.3)
- რეკომენდებულია, გამოცდები ეტაპობრივად გადავიდეს კომპიუტერულ ფორმატზე, რაც შეესაბამება თანამედროვე საგანმანათლებლო ტენდენციებსა და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს. (2.4)
- რეკომენდებულია, კომპიუტერული ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია, რათა ყველა ოპერაციული სისტემა იყოს მათი მწარმოებლების მიერ ოფიციალურად მხარდაჭერილი. (4.4)

▪ რჩევები

- სასურველია, პროგრამის საერთაშორისო განზომილების გაძლიერება, რათა სტუდენტები უკეთ მოემზადონ ისეთი პროფესიული საქმიანობისთვის, რომელიც მოითხოვს ფართო რეგიონულ და გლობალურ ხედვას. (1.1)
- სასურველია, უზრუნველყოფილ იქნეს პროგრამის გრძელვადიანი მდგრადობა და მისი გამორჩეულობა ისეთი მომიჯნავე მიმართულებებისგან, როგორც არის სოციოლოგია ან პოლიტიკური მეცნიერება. (1.2)
- სასურველია, პროგრამის ჰოლისტური მიდგომის გაძლიერება ინტეგრაციული კურსის (მაგ., „სოციალურ მეცნიერებათა ანალიზი“) დანერგვით, რათა შეიქმნას გამაერთიანებელი ანალიტიკური ჩარჩო და გამოყენებული იქნას პრაქტიკაზე ორიენტირებული, რეალურ სამყაროზე დაფუძნებული შემთხვევები. (1.4)
- სასურველია, გადაიხედოს კურსის „საქართველოს რეგიონები: გეოგრაფია და ბუნებრივი პოტენციალი“ აქტუალობა. (1.4)
- სასურველია, თითოეული კურსის აკადემიური რელევანტურობის, ხარისხისა და თანამედროვეობის უზრუნველსაყოფად, რეგულარულად გადაიხედოს და განახლდეს გამოყენებული ლიტერატურა (მათ შორის სახელმძღვანელოები, სტატიები და სხვა სავალდებულო საკითხავი მასალა) . (1.5)
- სასურველია, პროგრამის გაძლიერება ცალკე, დამოუკიდებელი პრაქტიკული კურსის დანერგვით, რომელიც სტუდენტებს მისცემს შესაძლებლობას გაამყარონ, გააანალიზონ და აქტიურად გამოიყენონ სწავლის პროცესში მიღებული ცოდნა და

კომპეტენციები. (2.2)

- სასურველია, უნივერსიტეტმა სამომავლო ბიუჯეტის დაგეგმვისას განიხილოს საგამოცდო ცენტრების განახლება, სტუდენტებზე მეტად ორიენტირებული გარემოსა და გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურის უზრუნველსაყოფად. (2.4)
- სასურველია, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს საფუძვლიანი საორიენტაციო შეხვედრების ჩატარებას, განსაკუთრებით — სავალდებულო და არჩევით კურსებს შორის განსხვავების განმარტებასა და სტუდენტებისათვის სასწავლო გრაფიკის დაგეგმვაში სათანადო მითითებების მიცემას. (3.1)
- სასურველია, პროგრამაში ჩართულმა ყველა აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა წარმოადგინოს განახლებული CV, გამჭვირვალობის უზრუნველყოფისა და მათი აქტუალური ჩართულობის დასადასტურებლად. მოძველებული CV-ები ართულებს მიმდინარე საქმიანობისა და შესაბამისი გამოცდილების გადამოწმებას, ხოლო პროგრამის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს ყველა თანამშრომლის შესახებ განახლებული მონაცემების წარმოება. (4.1)
- სასურველია, უნივერსიტეტებმა დანერგონ ინტეგრირებული, ხელოვნურ ინტელექტზე დაფუძნებული ლიტერატურის მიმოხილვის ტექნოლოგიური ინსტრუმენტები. (4.3)
- სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში საერთო მიზნად განისაზღვროს ხარისხის კულტურის დამკვიდრება, რაც გულისხმობს ხარისხის მნიშვნელობის ფართოდ გაზიარებულ ცნობიერებასა და მასზე კოლექტიურ პასუხისმგებლობას. (5.1)

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)⁴
- ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტები ქვემოთ მოცემულ ჩამონათვალში სათითაოდ იქნა განხილული და ეფუძნება რეკომენდაციების თავდაპირველ ჩამონათვალს. ზემოთ წარმოდგენილი საბოლოო სია მოიცავს მხოლოდ მიღებულ საბოლოო რეკომენდაციებს:

რეკომენდებულია, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს გაეწიოს მხარდაჭერა და სწავლის შედეგების დაგეგმვის, გაზომვისა და ანალიზის უნარების განვითარების მიზნით ჩაუტარდეს რეგულარული ტრენინგები. (1.3) – **უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტები მიუთითებს, რომ აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებული იქნება პროგრამის გადამუშავებულ ვერსიაში.**

• რეკომენდებულია, პროგრამაში დაემატოს კურსი, რომელიც მიეძღვნება გაციფრულების ასპექტებს. თანამედროვე საქართველოს რეალობის სრულყოფილი გააზრება შეუძლებელია იმ გარდაქმნების გათვალისწინების გარეშე, რომლებიც გაციფრულებამ სოციალურ ცხოვრებასა და სოციალურ მეცნიერებებში გამოიწვია. აღნიშნული კურსი არ უნდა იყოს (მხოლოდ) მეთოდოლოგიური ხასიათის, არამედ უნდა მოიცავდეს თეორიულ კომპონენტებსაც, რომლებიც უზრუნველყოფს საქართველოს ციფრული ტრანსფორმაციისა და მისი გავლენების სიღრმისეულ გააზრებას. (1.4) – **უნივერსიტეტმა დაადასტურა მოცემული რეკომენდაციის რელევანტურობა და აღნიშნულ საკითხს უფრო დეტალურად ასახავს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.**

• რეკომენდებულია, საქართველოს პარლამენტის მიერ 2025 წლის გაზაფხულის სესიაზე მიღებული გადაწყვეტილებისა და „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული შესაბამისი ცვლილების საფუძველზე, ქართული ენა დაემატოს სავალდებულო სასწავლო კურსების ნუსხას. (1.5) – **უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტები ასაბუთებს მოცემულ რეკომენდაციას; კანონის მიღების თარიღიდან გამომდინარე,**

უსდ-სთვის შეუძლებელი იყო აღნიშნული კომპონენტის ასახვა აკრედიტაციის პროცესში.

- რეკომენდებულია, სასწავლო კურსი „დარგობრივი ინგლისური სოციალურ მეცნიერებებში“ გახდეს სავალდებულო ყველა იმ სტუდენტისთვის, ვინც სწავლობს „სოციალური მეცნიერებები: თანამედროვე საქართველოს“ მიმართულებით. აღნიშნული კურსი მნიშვნელოვანია, რადგან უზრუნველყოფს დარგობრივად მორგებული აკადემიური და პროფესიული ინგლისური ენის უნარების განვითარებას ისეთ სფეროებში, როგორცაა სოციოლოგია, პოლიტიკური მეცნიერება, ისტორია და ეკონომიკა. (1.5) – **უნივერსიტეტმა დაადასტურა მოცემული რეკომენდაციის რელევანტურობა და უზრუნველყოფს აღნიშნული საკითხის საგანმანათლებლო პროგრამაში ასახვას.**

- რეკომენდებულია, დაზუსტდეს და გასწორდეს თუ როგორ არის სასწავლო გეგმაში კვლევის მეთოდების კურსები წარმოდგენილი, დოკუმენტაციაში თანმიმდევრულობის უზრუნველსაყოფად. კერძოდ, პროგრამამ მკაფიოდ უნდა ასახოს და დაადასტუროს თვისებრივი კვლევის მეთოდების კურსის არსებობა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს დაბალანსებული და მყარი მეთოდოლოგიური საფუძვლები. (2.2) – **უნივერსიტეტი აღიარებს ინგლისურენოვან ვერსიაში არსებულ თარგმნის ხარვეზს და მათ მიერ წარმოდგენილი არგუმენტები დამაჯერებელია. შედეგად, ჩვენ ვხსნით აღნიშნულ რეკომენდაციას.**

- რეკომენდებულია, რომ ყველა ლექციას თან ახლდეს ვიზუალური მასალა, ვინაიდან ვიზუალიზაცია აუმჯობესებს ინფორმაციის აღქმასა და დამახსოვრებას, ამარტივებს რთული საკითხების ახსნას და ზრდის სტუდენტთა ჩართულობას. (2.3) – **უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტები ამყარებს მოცემულ რეკომენდაციას. მივიჩნევთ, რომ ეს არის რეკომენდაციაზე თანხმობა და შესაბამისად, ლექციების მსვლელობისას გამოყენებული იქნება ვიზუალური მასალები.**

- რეკომენდებულია, გამოცდები ეტაპობრივად გადავიდეს კომპიუტერულ ფორმატზე, რაც შეესაბამება თანამედროვე საგანმანათლებლო ტენდენციებსა და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს. (2.4) – **უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტები ამყარებს მოცემულ რეკომენდაციას.**

- რეკომენდებულია, კომპიუტერული ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია, რათა ყველა ოპერაციული სისტემა იყოს მათი მწარმოებლების მიერ ოფიციალურად მხარდაჭერილი. (4.4) – **უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტები ამყარებს მოცემულ რეკომენდაციას.**

- სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში საერთო მიზნად განისაზღვროს ხარისხის კულტურის დამკვიდრება, რაც გულისხმობს ხარისხის მნიშვნელობის ფართოდ გაზიარებულ ცნობიერებასა და მასზე კოლექტიურ პასუხისმგებლობას. (5.1) – **პირველად დოკუმენტში, შეფასების ჯგუფში არსებული შიდა კოორდინაციის ხარვეზის გამო, აღნიშნული საკითხი შეცდომით იქნა მითითებული რეკომენდაციად, მაშინ როდესაც მას რჩევის ფორმა უნდა ჰქონოდა. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია მოიხსნა და აისახა შესაბამის ნაწილში როგორც რჩევა, რაც თანხვედრაშია უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილ პოზიციასთან.**

- საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, მაგალითად:

- **პერსონალი და ხელმძღვანელები**

- პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (აკადემიური, სამეცნიერო, საერთაშორისო და მოწვეული პერსონალის ჩათვლით), მათ შორის დოქტორის ხარისხის მქონე პირები შესაბამის დარგობრივ მიმართულებაში → პროგრამაში ჩართულია 47 აკადემიური თანამშრომელი: 17 პროფესორი, 24 ასოცირებული პროფესორი და 6 ასისტენტ-პროფესორი.
- აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა: 55% წარმოადგენს უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს (47), ხოლო 45% — მოწვეულ პერსონალს (38).

- აფილირებული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა;
 - მაგისტრანტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა;
 - ხელმძღვანელების სამუშაო დატვირთვის სქემა;
- **სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები** - პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში); საერთაშორისო ინდექსის მქონე რეცენზირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობრივი მონაცემები; ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებლები; სხვა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები;

წარმოდგენილი მაჩვენებლები ეფუძნება მკვლევართა მთელი ჯგუფის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომების საერთო რაოდენობას: „პროგრამაში ჩართული პირების სამეცნიერო კვლევითი მაჩვენებელი ბოლო ხუთი წლის განმავლობაში შეადგენს 231-ს. აქედან ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებულია 103 სტატია, საერთაშორისო ჟურნალებში -66 სტატია; ადგილობრივ კონფერენციებზე წარმოდგენილია 36 მოხსენება, ხოლო საერთაშორისო კონფერენციებზე -26 მოხსენება.“

- აკადემიური პერსონალის ბრუნვის მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში) (მაგალითად: პენსიაზე გასული თანამშრომლების რაოდენობა, დაწესებულებიდან წასულთა რაოდენობა, ახლად დამატებული პერსონალი და სხვა)

აკადემიური პერსონალის ბრუნვის მაჩვენებელი ვიზიტის ფარგლებში არ განხილულა და აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მკაფიოდ არ იყო ასახული. ინტერვიუებში მონაწილე ლექტორები წარმოადგენდნენ სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფს, ხოლო შეფასების ჯგუფს არ დაუფიქსირებია არც გადამეტებულად ასაკოვანი და არც ზედმეტად ახალგაზრდა აკადემიური კადრების კონცენტრაცია. საერთო ჯამში, გუნდი ხასიათდება დაბალანსებული და ასაკობრივად მრავალფეროვანი შემადგენლობით. თუმცა, პერსონალის ბრუნვასთან დაკავშირებით, მათ შორის თანამშრომელთა წასვლის ან ახალი თანამშრომლების შესახებ ინფორმაცია არ ყოფილა წარმოდგენილი.

- **ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები** (ბოლო 5 წლის განმავლობაში, მოქმედი პროგრამების შემთხვევაში); პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობა; სტუდენტთა პროგრესის სასწავლო წლების მიხედვით.

ვინაიდან პროგრამა ჯერ არ განხორციელებულა, არ არსებობს ისტორიული მონაცემები ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის შესახებ. პროგრამის კოორდინატორთა მოლოდინით, მოკლევადიან პერიოდში ჩარიცხულთა რაოდენობა გონივრულ ფარგლებში მოექცევა. მოკლევადიან პერსპექტივაში საჭიროა ყურადღების გამახვილება მომიჯნავე პროგრამებთან კონკურენციაზე (კერძოდ, სოციოლოგიის ან პოლიტიკური მეცნიერების მიმართულებებზე).

- თვითშეფასების ანგარიშსა და დანართებში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

▪ ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა

აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.

III. პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შეფასება
1.	1.1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	მეტწილად შესაბამისობაშია
1.1	პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია
1.2	პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია
1.3	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	მეტწილად შესაბამისობაშია
1.4	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	მეტწილად შესაბამისობაშია
1.5	სასწავლო კურსი/საგანი	მეტწილად შესაბამისობაშია
2.	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	მეტწილად შესაბამისობაშია
2.1	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია
2.2	პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია
2.3	სწავლება-სწავლის მეთოდები	მეტწილად შესაბამისობაშია
2.4	სტუდენტის შეფასება	მეტწილად შესაბამისობაშია
3.	სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია
3.1	სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	შესაბამისობაშია
3.2	მაგისტრანტის ხელმძღვანელობა	აირჩიეთ შესაბამისი
4	სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია
4.1	ადამიანური რესურსები	შესაბამისობაშია
4.2	მაგისტრანტების ხელმძღვანელების კვალიფიკაცია	აირჩიეთ შესაბამისი
4.3	აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია
4.4	მატერიალური რესურსი	მეტწილად შესაბამისობაშია
4.5	პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია
5	5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია
5.1	შიდა ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია
5.2	გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია
5.3	პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული	შესაბამისობაშია

მიმოხილვა	
---------------------------	--

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები (იხილეთ ბმული)

[უმაღლესი განათლების პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები](#)

[უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო](#)

[რჩევები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეფასების შესახებ](#)

[შეფასების კრიტერიუმები](#)

განმარტებები:

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამების განვითარებისთვის

IV. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა მკაფიოდ არის სტრუქტურირებული, თავისი მოცულობით რეალისტურია და სრულად შეესაბამება ბაკალავრის ხარისხის დეკლარირებულ მიზნებს. იგი წარმატებით აერთიანებს სოციალური მეცნიერებების სხვადასხვა დისციპლინის კურსებს იმ კურსებთან, რომლებიც სპეციფიკურად საქართველოს კონტექსტზეა ორიენტირებული. ეს დაბალანსებული დიზაინი შეესაბამება წარმოდგენილი ინიციატივის საფუძველში არსებულ მიზნებს და ასახავს თანმიმდევრულ აკადემიურ ხედვას, რომელიც ეფექტიანად აკავშირებს დისციპლინურ საფუძვლებს თანამედროვე საქართველოს კონტექსტურ ცოდნასთან. პროგრამა შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან, და აღნიშნული ხედვა გაზიარებულია მასში ჩართული პერსონალის მიერ.

პროგრამის მიზნები მიღწევადია წარმოდგენილი სასწავლო გეგმისა და განსაზღვრული სწავლის შედეგების გათვალისწინებით. კერძოდ, პროგრამა მიზნად ისახავს სტუდენტებს ასწავლოს:

- სოციალური მეცნიერებების ცალკეული დისციპლინების (სოციოლოგია, ეკონომიკა, პოლიტიკური მეცნიერება, ანთროპოლოგია) საფუძვლები, ძირითადი ცნებები, კატეგორიები და თეორიები; საზოგადოებრივი სფეროების ფუნქციონირებისა და ტრანსფორმაციის გააზრება;
- სოციალური მეცნიერებების მეთოდოლოგია და კვლევის მეთოდები;
- თანამედროვე ქართული საზოგადოების მრავალმხრივი და კომპლექსური შესწავლა და პრობლემების მრავალფაქტორული ანალიზი.

საბაკალავრო პროგრამის საერთო სტრუქტურა შეესაბამება აღნიშნულ მიზნებს, ხოლო კურსების პროგრესია ისეა დაგეგმილი, რომ სწავლის დასრულებისას სტუდენტები აღიჭურვონ საჭირო ცოდნითა და ანალიტიკური ინსტრუმენტებით. შესაბამისად, კურსდამთავრებულებისგან მოსალოდნელია, რომ იქნებიან სათანადოდ მომზადებულნი შრომის ბაზარზე შესასვლელად, განსაკუთრებით იმ სექტორებში, სადაც საჭიროა საქართველოს სოციალური, პოლიტიკური და ინსტიტუციური კონტექსტის ცოდნა. როგორც თვითშეფასების ანგარიშშია აღნიშნული, პროგრამა პასუხობს ქართულ რეალობაში

სპეციალიზებული პროფესიონალების მიმართ არსებულ მოთხოვნას; თუმცა, აღნიშნული მოთხოვნის მდგრადობის პერიოდული გადაფასება ხელს შეუწყობს შრომის ბაზრის ცვალებად პირობებთან პროგრამის შესაბამისობის შენარჩუნებას .

ინტერნაციონალიზაცია საბაკალავრო პროგრამის ცენტრალურ ფოკუსს არ წარმოადგენს, თუმცა პროგრამის ორგანიზატორები სარგებლობენ საერთაშორისო აკადემიური მხარდაჭერით და სასწავლო გეგმაში შეტანილია შესავალი კურსი საერთაშორისო ურთიერთობებში. აღნიშნული განზომილების შემდგომი გაძლიერება მიზანშეწონილი იქნებოდა, განსაკუთრებით იმ სტუდენტებისთვის, რომელთა პროფესიული განვითარება შესაძლოა გასცდეს მხოლოდ შიდა კონტექსტს და მოითხოვდეს საქართველოს რეგიონულ და გლობალურ დინამიკებში პოზიციონირების სიღრმისეულ გააზრებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა „სოციალური მეცნიერებები: თანამედროვე საქართველო“;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირება და შეფასება;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა;
- პროგრამის კურსკულუმის რუკა
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა თვითშეფასების ჯგუფთან;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა პროგრამის

ხელმძღვანელთან. [რეკომენდაციები](#)

რჩევები

სასურველია, პროგრამის საერთაშორისო განზომილების გაძლიერება, რათა სტუდენტები უკეთ მოემზადონ ისეთი პროფესიული საქმიანობისთვის, რომელიც მოითხოვს ფართო რეგიონულ და გლობალურ ხედვას.

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები კარგად შეესაბამება მის გაცხადებულ მიზნებს და ადეკვატურად მოიცავს ბაკალავრის დონეზე მოსალოდნელ ძირითად ცოდნასა და უნარებს. ისინი ფორმულირებულია ისე, რომ სტუდენტებს აძლევს საკმარის მოქნილობას, საკუთარი აკადემიური ტრაექტორია წარმართონ ინდივიდუალური ინტერესებისა და პროფესიული მისწრაფებების შესაბამისად. სწავლის შედეგები თანხვედრაშია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციების ჩარჩოსთან, ხოლო მათი შემუშავების პროცესში ჩართული არიან პროგრამის სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები. პროგრამაში ჩართული პირები ასევე წარმოადგენენ ინფორმაციის წყაროს სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ მისი შეფასებისთვის.

სწავლის შედეგების დიზაინი შეესაბამება დამკვიდრებულ აკადემიურ სტანდარტებს, განსაკუთრებით სიზუსტის, გაზომვადობისა და შეფასების პრაქტიკებთან თანხვედრის თვალსაზრისით. ისინი რეალისტურია, შეესაბამება კვალიფიკაციის დონეს და იმ კომპეტენციებს, რომლებიც ამ საფეხურის კურსდამთავრებულებს მოეთხოვებათ.

გარდა ამისა, სწავლის შედეგები ფართო თანხვედრაშია დასაქმების საჭიროებებთან, რომლებიც ვიზიტის პროცესში გამოიკვეთა. ამავე დროს, მიზანშეწონილი შეიძლება იყოს პროგრამის გრძელვადიანი მდგრადობის დამატებითი გააზრება შრომის ბაზრის დინამიკასთან მიმართებით. კერძოდ, შესაძლებელია განხილულ იქნეს, როგორ შენარჩუნდეს ამ სფეროში სპეციალიზებული კურსდამთავრებულების მიმართ მოთხოვნა სხვადასხვა გამოშვების ფარგლებში და როგორ განვითარდეს პროგრამა დროთა განმავლობაში, რათა შეინარჩუნოს აქტუალობა ცვალებად პროფესიულ გარემოში. ეს მოსაზრებები ასევე უკავშირდება პროგრამის თანაარსებობას მომიჯნავე მიმართულებებთან, როგორცაა სოციოლოგია ან პოლიტიკური მეცნიერება. პროგრამის გამორჩეული დამატებითი ღირებულებისა და მისი გავლენის მკაფიოდ განსაზღვრა უკვე არსებულ პროგრამებთან მიმართებით ხელს შეუწყობს სტუდენტთა საკმარისი რაოდენობის მოზიდვას მომდევნო ნაკადებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა „სოციალური მეცნიერებები: თანამედროვე საქართველო“;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირება და შეფასება;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა;
- პროგრამის კურსკულუმის რუკა
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა თვითშეფასების ჯგუფთან;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ექსპერტი ჯგუფის შეხვედრები სტუდენტებთან

რეკომენდაციები:

[რჩევები](#)

სასურველია, უზრუნველყოფილ იქნეს პროგრამის გრძელვადიანი მდგრადობა და მისი გამორჩეულობა ისეთი მომიჯნავე მიმართულებებისგან, როგორც არის სოციოლოგია ან პოლიტიკური მეცნიერება.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები; პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ციკლი შედგება სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემების განსაზღვრისგან, შეგროვებისა და ანალიზისგან;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი აღწერილია თვითშეფასების დოკუმენტში, რომელიც ეფუძნება 2020 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემუშავებულ დოკუმენტს - „საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირება და შეფასება“.

სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, სფეროსთვის სპეციფიკური პერიოდულობით. პროგრამები წარმოადგენენ მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის თავსებადობის რუკას. პროგრამის სასწავლო გეგმის რუკა გვიჩვენებს კურსის სწავლის შედეგ(ებ)ის შესაბამისობას პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)თან და აჩვენებს, თუ რა დონეზე მუშავდება/მიიღწევა პროგრამის სწავლის შედეგი (გაცნობა, გაღრმავება, დაუფლება).

. სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და პერიოდულობა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა სტუდენტების მიერ; მექანიზმის გამოყენება და შეფასების განხორციელება, სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი (სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი მეთოდი) და სწავლის შედეგების შეფასების შედეგები ექვემდებარება მონიტორინგს და ხდება მათი დადარება სამიზნე ნიშნულებთან. პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისთვის დადგენილია მიზნობრივი მაჩვენებელი, რომელიც ასახავს სტუდენტების სწავლის შედეგებს მიღწევის მოლოდინს. თითოეული სასწავლო შედეგი გამოხატავს კონკრეტულ უნარს და ცოდნას, რომელიც სტუდენტმა უნდა შეიძინოს პროგრამის დასრულებისას. აღნიშნული ცოდნისა და უნარების შეძენა და განვითარება ხორციელდება კონკრეტული აკადემიური კურსების კომბინაციით. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი იყენებს როგორც პირდაპირ, ასევე არაპირდაპირ მეთოდებს.

უნივერსიტეტი მიმართავს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას არაპირდაპირი მეთოდით, კერძოდ, შემუშავებულია კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის ფორმა, რომლის მეშვეობითაც კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები აფასებენ პროგრამის ფარგლებში მიღწეულ სწავლის შედეგებს. უნივერსიტეტში მოქმედებს კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა ყოველწლიური გამოკითხვის მექანიზმი, რომლის

შედეგების ანალიზის საფუძველზე დგინდება პროგრამის შედეგების შესაბამისობა დადგენილ მიზნობრივ ნიშნებთან.

პროგრამის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი არ იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს; პროგრამის ხელმძღვანელებს არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. რეკომენდებულია, რომ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს გაეწიოს მეტი მხარდაჭერა და ჩაუტარდეს ხშირი ტრენინგები სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების გასავითარებლად.

უნივერსიტეტი დაინტერესებულ პირებს აწვდის ინფორმაციას პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზის შესახებ

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა „სოციალური მეცნიერებები: თანამედროვე საქართველო“;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირება და შეფასება;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა;
- პროგრამის კურსკულუმის რუკა
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან;
- ექსპერტთა პანელის შეხვედრები სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და მომიჯნავე პროგრამის დამსაქმებლებთან.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, რომ პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს გაეწიოს მეტი მხარდაჭერა და ჩაუტარდეს ხშირი ტრენინგები სწავლის შედეგების შედგენის, გაზომვისა და ანალიზის უნარების გასავითარებლად.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.3 შეფასების მექანიზმი პროგრამის სწავლის შედეგების	მეტწილად შესაბამისობაშია

1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

როგორც აღნიშნულია 1.1 კომპონენტში პროგრამის შინაარსი ადეკვატურია და სრულ თანხვედრაშია მის დეკლარირებულ მიზნებთან. სასწავლო კურსების მოცულობა და სირთულის დონე შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურს, როგორც რაოდენობრივი, ისე შინაარსობრივი თვალსაზრისით. პროგრამის საერთო სტრუქტურა და კურსების განაწილება თანმიმდევრული და ლოგიკურად ორგანიზებულია, რაც სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას თანაბარი პროგრესით გაიარონ სასწავლო გეგმა და სწავლის დასრულებისას ფლობდნენ მოსალოდნელ ცოდნასა და კომპეტენციებს. პროგრამა შემუშავებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მეთოდოლოგიის, საქართველოს კანონმდებლობისა და ECTS სისტემის შესაბამისად. როგორც უკვე აღინიშნა (1.2), მიზანშეწონილია პროგრამამ განიხილოს ინტერნაციონალიზაციის უფრო მეტად გაძლიერება სტუდენტების უკეთ მომზადების მიზნით. პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულია მასთან დაკავშირებული ყველა ძირითადი დაინტერესებული მხარე. უსდ უზრუნველყოფს პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობასა და ხელმისაწვდომობას.

მიუხედავად ამისა, რჩება შეკითხვები თუ რამდენად შეძლებს პროგრამა, სოციალური მეცნიერებებისადმი ჭეშმარიტად ჰოლისტიური მიდგომის დანერგვას. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის სპეციფიკა მკაფიოდ არის განსაზღვრული საქართველოს ადგილობრივ კონტექსტზე ორიენტირებით, არსებული სტრუქტურა - რომელიც ეფუძნება შესავალ კურსებს სოციოლოგიაში, პოლიტიკურ მეცნიერებაში, საერთაშორისო ურთიერთობებში, გეოგრაფიასა და სოციალურ მუშაობაში - სრულად ვერ იყენებს შესაძლებლობას, გააერთიანოს ეს პერსპექტივები ცალკე, ზოგადი კურსის - „სოციალური მეცნიერებების ანალიზის“ მეშვეობით, რომელსაც სტუდენტებს შესთავაზებთ წინარე კურსების დასრულების შემდეგ.

ასეთი კურსი არაა აუცილებელი მოიცავდეს თითოეული დისციპლინის ამომწურავ მიმოხილვას, არამედ შექმნიდა ერთიან ანალიტიკურ ჩარჩოს, რომელიც დააკავშირებდა მათ თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძვლებს. იდეალურ შემთხვევაში, იგი იქნებოდა პრაქტიკაზე ორიენტირებული და დაეფუძნებოდა რეალურ შემთხვევებს, რომლებიც სტუდენტებს მოსთხოვდა ადრე შექმნილი ცნებებისა და მეთოდების სინთეზსა და გამოყენებას. მაგალითად, სტუდენტებს შეიძლება წარედგინოთ შემთხვევა, როგორცაა „საარჩევნო ტურბულენტობა საქართველოს არჩევნებში“ (უახლესი მოვლენების მაგალითზე) და დაევალოთ კვლევითი სტრატეგიის შემუშავება, სხვადასხვა დისციპლინიდან მიღებული პერსპექტივებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით.

პროგრამის კიდევ ერთი ნაკლოვანება უკავშირდება გაციფრულებასთან დაკავშირებული კონტენტის არქონას. თანამედროვე სოციალური საკითხების ანალიზი — როგორც

საქართველოს, ისე გლობალურ კონტექსტში — სულ უფრო რთულია საზოგადოებების ციფრული ტრანსფორმაციის გააზრების გარეშე. შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია თანამედროვე საქართველოზე, აუცილებლად უნდა მოიცავდეს საქართველოს, როგორც სახელმწიფოსა და საზოგადოების, გაციფრულების პროცესის განხილვას და მის გავლენას პოლიტიკაზე, მმართველობასა და ყოველდღიურ ცხოვრებაზე. ეს არ გულისხმობს ტექნიკურ ან ინსტრუმენტულ ტრენინგს (მაგალითად, ხელოვნური ინტელექტის ან კვლევითი ტექნოლოგიების გამოყენებას), არამედ თეორიულად და ანალიტიკურად საფუძვლიან კურსს გაციფრულებასა და სოციალურ მეცნიერებებთან მის კავშირებზე.

მესამე გასათვალისწინებელი ასპექტი ეხება კურსს „საქართველოს რეგიონები: გეოგრაფია და ბუნებრივი პოტენციალი“. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ბუნებრივი პოტენციალის მნიშვნელობა აღიარებულია, ნაკლებად ნათელია, რატომ არის აღნიშნული კურსი სავალდებულო და მინიჭებული აქვს იგივე კრედიტული დატვირთვა, რაც პროგრამის ძირითადი ანალიტიკური მიზნებისთვის უფრო მნიშვნელოვან კურსებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა „სოციალური მეცნიერებები: თანამედროვე საქართველო“;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირება და შეფასება;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა;
- პროგრამის კურსკულუმის რუკა
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა თვითშეფასების ჯგუფთან;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრა აკადემიურ პერსონალთან;

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, პროგრამაში დაემატოს კურსი, რომელიც მიემდგვნება გაციფრულების ასპექტებს. თანამედროვე საქართველოს რეალობის სრულყოფილი გააზრება შეუძლებელია იმ გარდაქმნების გათვალისწინების გარეშე, რომლებიც გაციფრულებამ სოციალურ ცხოვრებასა და სოციალურ მეცნიერებებში გამოიწვია. აღნიშნული კურსი არ უნდა იყოს (მხოლოდ) მეთოდოლოგიური ხასიათის, არამედ უნდა მოიცავდეს თეორიულ კომპონენტებსაც, რომლებიც უზრუნველყოფს საქართველოს ციფრული ტრანსფორმაციისა და მისი გავლენების სიღრმისეულ გააზრებას.

რჩევები

- სასურველია, პროგრამის ჰოლისტური მიდგომის გაძლიერება ინტეგრაციული კურსის (მაგ., „სოციალური მეცნიერებათა ანალიზი“) დანერგვით, რათა შეიქმნას გამაერთიანებელი ანალიტიკური ჩარჩო და გამოყენებული იქნას პრაქტიკაზე ორიენტირებული, რეალურ სამყაროზე დაფუძნებული შემთხვევები.
- სასურველია, გადაიხედოს კურსის „საქართველოს რეგიონები: გეოგრაფია და ბუნებრივი პოტენციალი“ .

შეფასება

გოთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.4 სტრუქტურა და შინაარსი საგანმანათლებლო პროგრამა	მეტწილად შესაბამისობაშია

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

- ➤ სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სასწავლო დარგის სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „სოციალური მეცნიერებები: თანამედროვე საქართველო“ კურსის აღწერილობების განხილვისას, ექსპერტთა ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ კურსები ახლად შემუშავებულია და შექმნილია პროგრამის მიზნების, საფეხურისა და სწავლის შედეგების შესაბამისად. თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი, კრედიტების გამოყოფილ რაოდენობასთან ერთად, უზრუნველყოფს კურსის დონეზე განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. თითოეული სილაბუსი სტანდარტიზებულია და მოიცავს მიზნებს, სწავლის შედეგებს, სწავლებისა და სწავლის მეთოდებს, შეფასების სისტემას, სამუშაო დატვირთვას და შესაბამის სასწავლო მასალებს, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და შიდა თანმიმდევრულობას.

სილაბუსების განხილვის შედეგად ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სასწავლო კურსების კონსტრუქციული შესაბამისობა მაღალ დონეზეა უზრუნველყოფილი. არსებობს მკაფიო თანმიმდევრულობა კურსის მიზნებს, სწავლის შედეგებს, სილაბუსის შინაარსს, სწავლება-სწავლის მეთოდებსა და შეფასების მიდგომებს შორის. საკონტაქტო საათები და სტუდენტის დატვირთვა განსაზღვრულია გამოყენებული სწავლების მეთოდების ლოგიკის საფუძველზე და პირდაპირ კავშირშია დასახულ სწავლის შედეგებთან, რაც ხელს უწყობს მათ ეფექტურ მიღწევას.

ექსპერტთა ჯგუფი ასევე მიიჩნევს, რომ ძირითადი სფეროს სასწავლო კურსების შინაარსი და სწავლის შედეგები ერთობლივად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თითოეულ კურსს განსაზღვრული და სისტემური წვლილი შეაქვს პროგრამის საერთო შედეგებში, რაც საშუალებას იძლევა ეტაპობრივად განვითარდეს დარგობრივი ცოდნა, ანალიტიკური აზროვნება და გამოყენებითი კომპეტენციები, რომლებიც რელევანტურია თანამედროვე ქართული საზოგადოების შესწავლისთვის სოციალურ მეცნიერებათა ჩარჩოში. სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალის განხილვისას ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ ისინი შესაბამისი და საკმარისია კურსისა და პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად. სპეციალურად პროგრამისთვის 20-მდე ახალი ქართულენოვანი რიდერის მომზადება

მნიშვნელოვნად აძლიერებს წვდომას თანამედროვე და კონტექსტზე ორიენტირებულ აკადემიურ რესურსებზე. სასწავლო მასალები შეესაბამება დარგში არსებულ თანამედროვე თეორიულ და ემპირიულ ცოდნას და ასახავს სოციალურ მეცნიერებებში მიმდინარე ბოლოდროინდელ მოვლენებსა და გამოწვევებს.

ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ სასწავლო კურსების შინაარსის სირთულე და მოცულობა შესაბამისობაშია თითოეული კურსისთვის მინიჭებულ კრედიტების რაოდენობასთან. ბალანსი საკონტაქტო საათებსა და დამოუკიდებელ მუშაობას შორის ადეკვატურია და ხელს უწყობს განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. კრედიტების ერთგვაროვანი სტრუქტურა უზრუნველყოფს კურიკულუმის თანმიმდევრულობას და სტუდენტებს აძლევს სფეროს შესახებ ფართო და ინტეგრირებული ცოდნის მიღების შესაძლებლობას

ამასთანავე, ექსპერტთა ჯგუფი ხაზს უსვამს სასწავლო კურსების შინაარსისა და სასწავლო მასალების აკადემიური აქტუალობისა და განახლებადობის შენარჩუნების მნიშვნელობას. რეკომენდებულია, რომ თითოეულ კურსში გამოყენებული ლიტერატურა, მათ შორის სახელმძღვანელოები, აკადემიური სტატიები და სხვა სავალდებულო საკითხავი მასალა, რეგულარულად გადაიხედოს და განახლდეს მკაფიოდ განსაზღვრული მექანიზმის მეშვეობით, რათა უზრუნველყოფილ იქნას მათი შესაბამისობა სოციალურ მეცნიერებებში არსებულ უახლეს თეორიულ, მეთოდოლოგიურ და ემპირიულ მიღწევებთან.

საქართველოს პარლამენტის მიერ 2025 წლის საგაზაფხულო სესიაზე მიღებული საკანონმდებლო ცვლილების გათვალისწინებით, რომელიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სახელმწიფო ენის სწავლებას სავალდებულოს ხდის, რეკომენდებულია „ქართული ენა“ დაემატოს პროგრამის სავალდებულო კურსების ჩამონათვალს.

გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფი გასცემს რეკომენდაციას, რომ სასწავლო კურსი „დარგობრივი ინგლისური სოციალურ მეცნიერებებში“ გახდეს სავალდებულო, პროგრამაზე ჩარიცხული ყველა სტუდენტისთვის. აღნიშნული კურსი სტუდენტებს უზრუნველყოფს აუცილებელი აკადემიური და პროფესიული ენობრივი უნარებით, რომლებიც მორგებულია ისეთ დისციპლინებზე, როგორცაა სოციოლოგია, პოლიტიკის მეცნიერება, ისტორია და ეკონომიკა, რაც თავის მხრივ გააუმჯობესებს სტუდენტების შესაძლებლობას, იმუშაონ საერთაშორისო აკადემიურ ლიტერატურასთან და ჩაერთონ პროფესიულ გარემოში.

მთლიანობაში, ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ პროგრამა აჩვენებს შესაბამისობის მაღალ ხარისხს სასწავლო კურსებთან და საგნებთან დაკავშირებული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან. ზემოაღნიშნული რეკომენდაციების შესრულება კიდევ უფრო განამტკიცებს პროგრამის თანმიმდევრულობას, ხარისხსა და მდგრადობას და უზრუნველყოფს მის მუდმივ შესაბამისობას ეროვნულ კანონმდებლობასთან და საერთაშორისო აკადემიურ სტანდარტებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- კურსების სილაბუსები
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, საქართველოს პარლამენტის მიერ 2025 წლის გაზაფხულის სესიაზე მიღებული გადაწყვეტილებისა და „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული შესაბამისი ცვლილების საფუძველზე, ქართული ენა დაემატოს სავალდებულო სასწავლო კურსების ნუსხას.

- რეკომენდებულია, სასწავლო კურსი „დარგობრივი ინგლისური სოციალურ მეცნიერებებში“ გახდეს სავალდებულო „სოციალური მეცნიერებები: თანამედროვე საქართველოს“ მიმართულებით მოსწავლე ყველა სტუდენტისთვის. ეს კურსი მნიშვნელოვანია, რადგან ის სტუდენტებს მისცემს აუცილებელ აკადემიურ და პროფესიულ ენობრივ უნარ-ჩვევებს, რომლებიც სპეციალურად მორგებულია ისეთ დისციპლინებზე, როგორცაა სოციოლოგია, პოლიტოლოგია, ისტორია და ეკონომიკა.

რჩევები

- სასურველია, თითოეული კურსის აკადემიური რელევანტურობის, ხარისხისა და თანამედროვეობის უზრუნველსაყოფად, რეგულარულად გადაიხედოს და განახლდეს გამოყენებული ლიტერატურა (მათ შორის სახელმძღვანელოები, სტატიები და სხვა სავალდებულო საკითხავი მასალა) .

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	მეტწილად შესაბამისობაშია

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „სოციალური მეცნიერებები: თანამედროვე საქართველოს“ მიღებასთან დაკავშირებით: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ხელმძღვანელობს ზოგადად აღიარებული და კანონმდებლობით დადგენილი

პროცედურებით. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები არის გამჭვირვალე, საჯაროდ ხელმისაწვდომი და სრულ შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან. ისინი ითვალისწინებს პროგრამის თავისებურებებსა და საფეხურს და უზრუნველყოფს იმ პირთა ჩართვას პროგრამაში, რომლებიც ფლობენ პროგრამის სწავლის შედეგების წარმატებით მიღწევისათვის აუცილებელ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს. ინფორმაცია მიღების წინაპირობებისა და პროცედურების შესახებ ნათლადაა გაწერილი პროგრამის დოკუმენტაციაში და განთავსებულია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე, რაც უზრუნველყოფს მათ ხელმისაწვდომობას ყველა დაინტერესებული პირისთვის.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე „სოციალური მეცნიერებები: თანამედროვე საქართველო“ დაშვების წინაპირობები შემდეგია:

- პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად.
- საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში, აბიტურიენტთა მიღება შესაძლებელია ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონით დადგენილი პროცედურების დაცვით.
- უცხოური საგანმანათლებლო დოკუმენტის მქონე აბიტურიენტების ან სტუდენტების ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული აღიარების დოკუმენტის საფუძველზე.
- სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვა საბაკალავრო პროგრამაზე ხორციელდება წელიწადში ორჯერ, სამინისტროს მიერ დადგენილი პროცედურებისა და სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ განსაზღვრულ ვადებში.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ადეკვატურად ითვალისწინებს სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო საფეხურის სწავლების დონესა და სპეციფიკას და უზრუნველყოფს ისეთ სტუდენტთა ჩარიცხვას, რომელთაც შესწევთ პროგრამის წარმატებით ათვისების შესაძლებლობა. მიღების აღნიშნული კრიტერიუმები მხარს უჭერს თანაბარ ხელმისაწვდომობას, სამართლიანობასა და გამჭვირვალობას, აკადემიური სტანდარტების შენარჩუნების პარალელურად.

შეფასების პროცესში ასევე აღინიშნა, რომ არსებული აკადემიური, ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების გათვალისწინებით, პროგრამას აქვს შესაძლებლობა ყოველწლიურად მიიღოს საშუალოდ 80 სტუდენტი. სტუდენტთა მისაღები კონტინგენტის განსაზღვრა ეფუძნება დაწესებულების დაგეგმვის დოკუმენტებს და ითვალისწინებს ბალანსს არსებულ რესურსებსა და სტუდენტთა დაგეგმილ რაოდენობას შორის, რაც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობასა და ხარისხს.

მთლიანობაში, ექსპერტთა ანალიზი ადასტურებს, რომ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „სოციალური მეცნიერებები: თანამედროვე საქართველო“ მიღების წინაპირობები და პროცედურები არის სათანადო, შეესაბამება ეროვნულ კანონმდებლობას და თანხვედრაშია პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა

[რეკომენდაციები:](#)

რჩევები

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები წინაპირობები	შესაბამისობაშია

2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა, მისი სწავლის შედეგებისა და სწავლის დონის შესაბამისად, უზრუნველყოფს კარგად სტრუქტურირებულ გარემოს პრაქტიკული, კვლევითი, შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებისათვის. პრაქტიკული ელემენტები ინტეგრირებულია ბევრ კურსში გამოყენებითი დავალებების, სავარჯიშოებისა და პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლების მიდგომების მეშვეობით, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს, ბაკალავრიატის ადრეული ეტაპებიდანვე დააკავშირონ თეორიული ცოდნა რეალურ პრაქტიკულ ამოცანებთან. ამავდროულად, პროგრამის კიდევ უფრო გაძლიერება შესაძლებელია პრაქტიკული განხორციელების სპეციალური, განცალკევებული კურსის დანერგვით, რაც სტუდენტებს მისცემდა უფრო მკაფიო შესაძლებლობას გაიმყარონ, გაიაზრონ და აქტიურად გამოიყენონ სწავლის განმავლობაში მიღებული ცოდნა და კომპეტენციები. ასეთი კომპონენტი გააძლიერებდა თანმიმდევრულობას და გააღრმავებდა სტუდენტების პროფესიულ მზაობას.

სასწავლო გეგმაში კარგად არის დაბალანსებული პროგრამის კვლევითი განზომილება. სოციალურ მეცნიერებებისა და რაოდენობრივი კვლევის მეთოდების კურსები, ინტერდისციპლინურ და თეორიაზე დაფუძნებულ საგნებთან ერთად, ხელს უწყობენ ანალიტიკურ აზროვნებასა და მეცნიერულ მსჯელობას. გარდა ამისა, ადეკვატურად არის დაგეგმილი ტრანსფერული უნარების განვითარება. ექსპერტთა ჯგუფს გარკვეული კითხვები აქვს სასწავლო პროგრამაში თვისებრივი კვლევების შესახებ მკაფიოდ ნახსენები კურსის არარსებობასთან დაკავშირებით. წარმოდგენილი დოკუმენტი მოიცავს ორ კურსს თემაზე „რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“ (ძირითადი სპეციალობის სავალდებულო მე-5 და მე-11 კურსები) და „სოციალურ მეცნიერებებში კვლევის მეთოდები“ (საფაკულტეტო 1- ლი სავალდებულო კურსი), და აღნიშნავს, რომ მე-11 კურსზე მოხვედრის წინაპირობაა კურსი „თვისებრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში“. მაგრამ ეს უკანასკნელი პროგრამაში არსადაა ნახსენები. მიუხედავად ამისა, ჩვენ ვვარაუდობთ, რომ ეს ფაილების მომზადებისას დაშვებული შეცდომაა და უნდა გამოსწორდეს. იმ შემთხვევაში, თუ ეს შეცდომა არაა - აუცილებლად უნდა იქნეს ჩამატებული თვისებრივი მეთოდების კურსი.

პროგრამის პრაგმატულ ელემენტებთან დაკავშირებით, ლექტორები კვალიფიციურები არიან

საბაკალავრო პროგრამისთვის საჭირო დონეზე. წარმოდგენილი დოკუმენტები შეიცავს საჭირო ინფორმაციას იმის გასაგებად, რომ სწავლის შედეგები იქნება მიღწეული. საერთო ჯამში, პროგრამა აჩვენებს სათანადო ერთგულებას პრაქტიკული, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარების მიმართ. მიუხედავად ამისა, მკაფიოდ განსაზღვრული, ცალკე პრაქტიკული განხორციელების კურსის დამატება კიდევ უფრო გააძლიერებდა პროგრამას, რადგან შესაძლებელს გახდიდა დაგროვილი კომპეტენციების უფრო სრულყოფილ სინთეზისა და პრაქტიკაში გამოყენებას, რითაც გააძლიერებდა მის პრაქტიკულ განზომილებას და საერთო ზემოქმედებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის

- სასურველია, პროგრამის გაძლიერება ცალკე, დამოუკიდებელი პრაქტიკული კურსის დანერგვით, რომელიც სტუდენტებს მისცემს შესაძლებლობას გაამყარონ, გააანალიზონ და აქტიურად გამოიყენონ სწავლის პროცესში მიღებული ცოდნა და კომპეტენციები.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.2. განვითარება სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარების	პრაქტიკული, მეტწილად შესაბამისობაშია /საშემსრულებლო

2.3 სწავლება- სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა იყენებს სწავლება-სწავლის მეთოდებს, რომლებიც შეესაბამება განათლების მოცემულ დონეს, კურსის შინაარსს, განსაზღვრულ

სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ ეფექტურ მიღწევას. საგანმანათლებლო პროგრამის ყველა კომპონენტში გამოყენებული სწავლება- სწავლის მეთოდების კომბინაცია ხელს უწყობს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას და ორიენტირებულია შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და პროფესიული კომპეტენციების განვითარებაზე.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალი იყენებს თანამედროვე, სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლება-სწავლის მიდგომებს, ხაზს უსვამს სტუდენტზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო პროცესს, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და სწავლის საჭიროებებს. სწავლება მიზნად ისახავს ფართო სპექტრის უნარებისა და კომპეტენციების, მათ შორის ანალიტიკური აზროვნების, პრობლემების გადაჭრის, კომუნიკაციის, გუნდური მუშაობისა და ცოდნის პრაქტიკული გამოყენების განვითარებას. კურსების ორგანიზება ასახავს მათ სპეციფიკურ ბუნებას, ხოლო თითოეული კურსის ფარგლებში დაგეგმილი სწავლება-სწავლის აქტივობები შექმნილია სტუდენტების აქტიური ჩართულობისა და საჭირო კომპეტენციების განვითარების მხარდასაჭერად. გამოყენებული სწავლების მეთოდები მოქნილია და საშუალებას იძლევა ადაპტირდეს ინდივიდუალური სტუდენტის საჭიროებებსა და სწავლის სტილზე.

საგანმანათლებლო პროგრამა აერთიანებს სწავლება-სწავლის მეთოდების მრავალფეროვან ნაკრებს, რომელთაგან თითოეული ორიენტირებულია უნარების უწყვეტ განვითარებაზე და პრაქტიკული გამოცდილების შექმნაზე. ეს მეთოდები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ მონაცემთა ანალიზითა და მოდელირებით, დისკუსიებით, დებატებითა და ჯგუფური მუშაობით, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლებით, შემთხვევის ანალიზითა და სიმულაციებით, დემონსტრირებისა და პრეზენტაციის მეთოდებით, აკადემიურ ტექსტებთან მუშაობით (ტექსტზე დაფუძნებული სწავლება), იდეების გენერირებით, მოქმედებაზე ორიენტირებული და ელექტრონული სწავლებით.

საჭიროების შემთხვევაში, შეიძლება გამოყენებულ იქნას ინდივიდუალური სასწავლო პროგრამა, რომელიც მორგებული იქნება სტუდენტის აკადემიურ მონაცემებზე, ინტერესებსა და მომზადების დონეზე. ასეთ შემთხვევებში, სწავლება- სწავლის მეთოდები შესაბამისად არის მორგებული ინკლუზიურობის, თანაბარი სწავლის შესაძლებლობებისა და სწავლის შედეგების ეფექტური მიღწევის უზრუნველსაყოფაზე.

ინტერვიუების დროს ასევე აღინიშნა, რომ ზოგიერთ ლექციას პრეზენტაციები არ ახლავს თან. ლექციების დროს რეკომენდებულია ვიზუალური მასალების (სლაიდები, პრეზენტაციები) სისტემატურად გამოყენება, რადგან ვიზუალიზაცია სტუდენტებს ეხმარება სასწავლო მასალის უკეთ გააზრებაში, სტრუქტურირებასა და დამახსოვრებაში. პრეზენტაციების გამოყენება ზრდის სტუდენტების ჩართულობას, ამარტივებს რთული ცნებების ახსნას და შეესაბამება თანამედროვე, სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლების მიდგომებს, რომლებიც დაფუძნებულია მულტიმოდალურ (ვერბალურ და ვიზუალურ) სწავლებაზე. ეს პრაქტიკა ხელს უწყობს სწავლების ეფექტურობისა და სასწავლო პროცესის საერთო ხარისხის გაუმჯობესებას.

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, რომ ყველა ლექციას თან ახლდეს ვიზუალური მასალა, რადგან ვიზუალიზაცია აუმჯობესებს ინფორმაციის გააზრებასა და დამახსოვრებას, ამარტივებს რთული თემების ახსნას და ზრდის სტუდენტების ჩართულობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა და კურსების სილაბუსები
- საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი
- სწავლის პროცესის მართვის სისტემა
- ინტერვიუების შედეგები

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, რომ ყველა ლექციას თან ახლდეს ვიზუალური მასალა, ვინაიდან ვიზუალიზაცია აუმჯობესებს ინფორმაციის აღქმასა და დამახსოვრებას, ამარტივებს რთული საკითხების ახსნას და ზრდის სტუდენტთა ჩართულობას.

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.3. სწავლება და სწავლის მეთოდები	მეტწილად შესაბამისობაშია

2.4 სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ინდივიდუალური კურსების შეფასების სისტემა სტუდენტებისთვის წინასწარ არის ცნობილი. სილაბუსები აღწერენ კონკრეტული აქტივობებისათვის ქულების განაწილებას. ეს უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებას, იცოდნენ, რა შეფასებას მიიღებენ თითოეული ტიპის დავალების შესრულებისათვის. სტუდენტები ფასდებიან სხვადასხვა კომპონენტის მიხედვით, მათ შორისაა: ლექციებსა და სემინარებში მონაწილეობა, სამუშაო ჯგუფებში აქტივობა (დისკუსიებში/ დებატებში ჩართულობა, სასწავლო მასალების მომზადება და პრეზენტაცია, შემთხვევის ანალიზი და ა.შ.); საშინაო დავალებები (არგუმენტირებული ესეები, კვლევის დიზაინი, კვლევის მეთოდოლოგიის კომპონენტები, შედარებითი ანალიზი, ანგარიშები და ა.შ.); ზეპირი პრეზენტაციები ან პროექტის მომზადება; შუალედური და დასკვნითი გამოცდები.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება მხოლოდ ერთი შეფასების კომპონენტის (შუალედური ან საბოლოო შეფასება) საფუძველზე. შეფასების სისტემა ითვალისწინებს:

დადებითი შეფასების ხუთ ტიპს:

- (A) ფრიადი - 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა;
- (C) კარგი - 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა

- (E) საკმარისი - 51-60

ქულა. უარყოფითი

შეფასების ორ ტიპს:

- (FX) ვერ ჩააბარა (ხელახლა გასვლა დაშვებულია) – 41– 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად დამატებითი მუშაობა სჭირდება და მას უფლება აქვს, დამოუკიდებელი სწავლების გზით კიდევ ერთი ჩააბაროს გამოცდა;

- (F) ჩაიჭრა – 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მუშეობა არასაკმარისია და მან ხელახლა უნდა გაიაროს კურსი/საგანი.

საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის ფარგლებში, FX შეფასების მიღების შემთხვევაში, დამატებითი გამოცდა ინიშნება საბოლოო გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არაუადრეს 5 დღისა.

თსუ- ში სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს ლექტორის მიერ მინიჭებული შეფასება.

სააპელაციო საჩივარი შეიძლება განიხილოს კურსის ლექტორმა, სხვა ლექტორმა ან სააპელაციო კომიტეტმა.

სტუდენტების შეფასების ელექტრონული სისტემა/ პორტალი ფუნქციონირებს ეფექტურად. სტუდენტებს შეუძლიათ ელექტრონული პორტალის საშუალებით დაუკავშირდნენ ლექტორებს, ნახონ თავიანთი შეფასებები და, საჭიროების შემთხვევაში, წარადგინონ სააპელაციო საჩივრები.

რაც შეეხება საბაკალავრო ნაშრომს, მას აფასებენ ხელმძღვანელი, რეცენზენტი და კომიტეტი. საბაკალავრო ნაშრომის საბოლოო შეფასება (ხელმძღვანელის, რეცენზენტისა და კომიტეტის შეფასებების გაერთიანებით) მაქსიმუმ 100 ქულაა. გამსვლელი შეფასებისთვის საჭიროა მინიმუმ 51 ქულა. ჩამოიღება შეფასება შემდეგია: ხელმძღვანელის შეფასება - 20 ქულა; რეცენზენტის შეფასება - 40 ქულა; კომიტეტის შეფასება - 40 ქულა.

ზეპირ დაცვაზე დაშვების წინაპირობაა, რომ ხელმძღვანელისა და რეცენზენტის შეფასებებიდან სტუდენტმა დააგროვოს მინიმუმ 30 ქულა. საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესი განსაზღვრავს ნაშრომის სტრუქტურას, ციტირების სათანადო პრაქტიკას და ინფორმაციას აკადემიური კეთილსინდისიერების შესახებ.

საბაკალავრო ნაშრომი მოწმდება პლაგიატიზმზე ელექტრონული პროგრამა Turnitin-ის გამოყენებით. ამ მიზნით, დაცვამდე, სტუდენტი დასრულებული ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას პლაგიატიზმზე შესამოწმებლად ატვირთავს სპეციალურ ბმულზე, რომელიც დაკავშირებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრონულ სწავლების პორტალთან e-learning.tsu.ge.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს აკადემიურ კეთილსინდისიერებას საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობაში, დარღვევების პრევენციის, მათზე რეაგირებისა და შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრების ზოგად პრინციპებს. ეს პოლიტიკა ვრცელდება როგორც უნივერსიტეტის თანამშრომლებზე, ისე სტუდენტებზე.

გასაუბრებების დროს სტუდენტებმა განიხილეს გამოცდების პროცესი და გამოკვეთეს ორი მთავარი საკითხი: პირველი, რომ უნივერსიტეტში საგამოცდო ცენტრების ინფრასტრუქტურა საჭიროებს გაუმჯობესებას; და მეორე, რომ გამოცდები ტარდება ქალაქში, კომპიუტერების გამოყენების გარეშე.

პირველი პუნქტი ძირითადად უკავშირდება ავტორიზაციის საკითხს; შესაბამისად, ჩამოყალიბდა მხოლოდ რჩევა, რომლის მიხედვითაც უნივერსიტეტმა მომავალ ბიუჯეტში უნდა გაითვალისწინოს საგამოცდო ცენტრების რემონტი, რათა უზრუნველყოს სტუდენტებისთვის უფრო მოსახერხებელი გარემო და გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა.

რჩევები:

სასურველია, უნივერსიტეტმა სამომავლო ბიუჯეტის დაგეგმვისას განიხილოს საგამოცდო ცენტრების განახლება, სტუდენტებზე მეტად ორიენტირებული გარემოსა და გაუმჯობესებული

ინფრასტრუქტურის უზრუნველსაყოფად.

სტუდენტების სურვილი, რომ გამოცდები ჩატარდეს კომპიუტერული ფორმატით, რეკომენდაციის სახით არის წარმოდგენილი, რადგან ეს შეესაბამება თანამედროვე საგანმანათლებლო ტენდენციებსა და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს. კომპიუტერიზებული შეფასება ზრდის პროცესის ობიექტურობასა და გამჭვირვალობას, ამცირებს ტექნიკურ შეცდომებს და უზრუნველყოფს შედეგების სწრაფ მიწოდებას, რაც მნიშვნელოვანია ეფექტური უკუკავშირისათვის. გარდა ამისა, ის ამარტივებს ადმინისტრაციულ პროცესებს, აძლიერებს აკადემიური კეთილსინდისიერების მონიტორინგის მექანიზმებს და ხელს უწყობს სტუდენტების ციფრული კომპეტენციების განვითარებას. შესაბამისად, ეს ცვლილება ემსახურება შეფასების ხარისხის გაუმჯობესებას და თანამედროვე სასწავლო გარემოს ხელშეწყობას.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გამოცდები ეტაპობრივად გადავიდეს კომპიუტერულ ფორმატზე, რაც შეესაბამება თანამედროვე საგანმანათლებლო ტენდენციებსა და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა და კურსების სილაბუსები
- სსიპ - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელი წესები
- საბაკალავრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესები
- აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტი
- თვითშეფასების დოკუმენტი
- ინტერვიუები

: რეკომენდაციები

რეკომენდებულია, გამოცდები ეტაპობრივად გადავიდეს კომპიუტერულ ფორმატზე, რაც შეესაბამება თანამედროვე საგანმანათლებლო ტენდენციებსა და სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებს.

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის

- სასურველია, უნივერსიტეტმა სამომავლო ბიუჯეტის დაგეგმვისას განიხილოს საგამოცდო ცენტრების განახლება, სტუდენტებზე მეტად ორიენტირებული გარემოსა და გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურის უზრუნველსაყოფად.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი

შეფასება

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერი სერვისები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ცხრილში გათვალისწინებული კონსულტაციების გარდა, პროგრამის დირექტორი, პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი და ფაკულტეტის ადმინისტრაციული პერსონალი რეგულარულად ურთიერთობენ სტუდენტებთან სხვადასხვა პლატფორმის (ელექტრონული პორტალი, ელექტრონული ფოსტა, SMS სერვისი და ა.შ.) მეშვეობით, აწვდიან მათ ინფორმაციას ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტების/ღონისძიებების, პროფესიული და აკადემიური განვითარების კურსების, შემდგომი სწავლის მოთხოვნებისა და დასაქმებაზე ორიენტირებული აქტივობების შესახებ. ინსტიტუციურ დონეზე, ფაკულტეტის აკადემიური პროცესის მართვის სამსახური სტუდენტებს უწევს რეგულარულ, ინდივიდუალურ მხარდაჭერას სწავლასა და საგანმანათლებლო პროცესთან დაკავშირებული სხვა აქტივობების დაგეგმვაში. ფაკულტეტზე ასევე ფუნქციონირებს სტუდენტური მომსახურების ცენტრი, რომელიც სტუდენტებს უწევს შესაბამის კონსულტაციასა და მომსახურებას (შეტყობინებები, საჭირო დოკუმენტების გაცემა და სხვა).

კვლევისა და განვითარების სამსახური აწყობს ადგილობრივ სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებს, რეგულარულად აწვდის ინფორმაციას სტუდენტებს შესაბამისი აქტივობების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში მხარდაჭერას სთავაზობს მათ. დეპარტამენტის მისიას, უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად, ხელი შეუწყოს უნივერსიტეტის სამეცნიერო და კვლევითი პოტენციალის ზრდას, აამაღლოს სამეცნიერო კარიერა, პოპულარიზაცია გაუწიოს მეცნიერებას ახალგაზრდა თაობაში, დაამყაროს კავშირები უცხოურ უნივერსიტეტებთან და კვლევით ცენტრებთან, განავითაროს არსებული თანამშრომლობა და შექმნას ახალი სამეცნიერო კონტაქტები. უნივერსიტეტი რეგულარულად მასპინძლობს სამეცნიერო კონფერენციებს როგორც ფაკულტეტის დონეზე, ასევე უნივერსიტეტის მასშტაბით.

თსუ-ს აქვს კარიერული ზრდისა და განვითარების ცენტრი, რომელიც სტუდენტების პროფესიული და კარიერული განვითარების მხარდასაჭერად პერიოდულად გეგმავს და ატარებს ტრენინგებსა და სემინარებს. გარდა ამისა, რეგულარულად იმართება დასაქმების ფორუმები, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ პირისპირ დაუკავშირდნენ პოტენციურ დამსაქმებლებს. სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრი ასევე უჭერს მხარს უნივერსიტეტის სტუდენტებს დასაქმებისთვის აუცილებელი ზოგადი უნარების განვითარებაში, ეხმარება ახალგაზრდებს შრომის ბაზარზე დამკვიდრებაში და, შესაბამისად, პროფესიული, სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაციის მიღწევაში.

უნივერსიტეტს გააჩნია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტებისთვის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელების რეგულაციები. აღსანიშნავია, რომ ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მოწყობილია მხედველობადაქვეითებული სტუდენტებისთვის განკუთვნილი სამკითხველო დარბაზი, სადაც ლიტერატურა და კომპიუტერული ტექნიკა ბრაილის შრიფტით არის აღჭურვილი.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამა ახალია და ინტერნაციონალიზაცია, მათ შორის საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა, ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია, აქტიური ძალისხმევაა გაწეული ამ მიმართულების გასაძლიერებლად. ეს ძალისხმევა მოიცავს უცხოურ ინსტიტუტებთან პარტნიორობის დამყარებას, საერთაშორისო ლექტორების მოწვევას და საერთაშორისო აკადემიურ და სამეცნიერო აქტივობებში მონაწილეობის წახალისებას.

პირველი სემესტრის სტუდენტებისთვის საორიენტაციო შეხვედრებთან დაკავშირებით, რამდენიმე უფროსკურსელმა სტუდენტმა განაცხადა ასეთი შეხვედრების არარსებობის შესახებ, რამაც მათ შეუქმნა პრობლემები და გამოიწვია დაბნეულობა, კერძოდ გრაფიკის ორგანიზებისა და კურსების შერჩევის საკითხში. თუმცა, სტუდენტების უმრავლესობამ დაადასტურა საორიენტაციო შეხვედრების არსებობა. ამ წინააღმდეგობრივი სურათის გათვალისწინებით, ექსპერტთა რჩევაა, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს საგულდაგულო საორიენტაციო შეხვედრების ჩატარებას, განსაკუთრებული აქცენტით სავალდებულო და არჩევით კურსებს შორის განსხვავების ახსნასა და მეგზურობას სტუდენტების გრაფიკის დაგეგმვაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევისა და განვითარების დეპარტამენტის დებულება
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრის დებულება
- სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება
- თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №71/2018 – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების სასწავლო პროცესის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ
- პროგრამების სტუდენტების სამეცნიერო საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია
- თვითშეფასების დოკუმენტი

- ინტერვიუები

[რეკომენდაციები](#)

[რჩევები პროგრამის განვითარებისათვის](#)

1. სასურველია, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს საფუძვლიანი საორიენტაციო შეხვედრების ჩატარებას, განსაკუთრებით — სავალდებულო და არჩევით კურსებს შორის განსხვავების განმარტებასა და სტუდენტებისათვის სასწავლო გრაფიკის დაგეგმვაში სათანადო მითითებების მიცემას.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
3.1 სტუდენტთა კონსულტაცია	შესაბამისობაშია

3.2. მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებს.
- სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

მაგისტრანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	
მაგისტრანტთა რაოდენობა	
თანაფარდობა - სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელები/მაგისტრანტები	

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

[:რეკომენდაციები](#)

1. წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

[რჩევები პროგრამის განვითარებისათვის](#)

2. არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
3.2. მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა	აირჩიეთ შესაბამისი

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამოიმუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სოციალურ მეცნიერებათა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას "თანამედროვე საქართველო" ახორციელებს კვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომლებსაც გააჩნიათ საჭირო კომპეტენციები, რათა მხარი დაუჭირონ სტუდენტებს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევაში. პერსონალის კვალიფიკაციასა და გამოცდილებაზე მეტყველებს მათი მდგრადი საგანმანათლებლო, სამეცნიერო და პროფესიული საქმიანობა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში.

ადგილზე ჩატარებული კვლევისა და არსებული მონაცემების საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია საკმარისი გამოცდილება პროგრამის შემუშავებისა და მასში ჩართვისთვის და რომ მისი ლიდერობა პროგრამის განხორციელებაში თვალსაჩინოა.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 47 აკადემიური პერსონალი, რომელთაგან 17 სრული პროფესორია, 24 ასოცირებული პროფესორი და 6 ასისტენტ-პროფესორი, ასევე 38 მოწვეული პერსონალი. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და შემადგენლობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის მდგრად განხორციელებას, სასწავლო დატვირთვის სათანადო განაწილებას და კვლევითი, შემოქმედებითი და სხვა დაკისრებული აკადემიური მოვალეობების ეფექტურ შესრულებას. ეს რაოდენობრივი ინდიკატორები აჩვენებს პროგრამის გრძელვადიან მდგრადობას.

